გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

აივ ინფექცია/შიდსი

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი დეკემბერი 2014

თანატოლგანმანათლებლები აივ/შიდსის საკითხებზე მომზადდნენ

2014 წლის 10 დეკემბერს პროექტის ,,ავამოძრაოთ ბავშვები“ ფარგლებში გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში ჩატარდა ტრენინგი თემაზე ,,აივ/შიდსი“. ტრენინგს ექიმი ნონა გარგანჯია გაუძღვა და მოზარდებს გააცნო აივ/შიდსის გადაცემის გზები, მკურნალობის მეთოდები, ესაუბრა შესაბამის დაწესებულებებში სტერილიზებული სამედიცინო ინსტრუმენტების და აღჭურვილობის აუცილებლობაზე. ტრენინგის მეორე ნაწილი აივ/შიდსთან დაკავშირებულ სტიგმასა და დისკრიმინაციას დაეთმო. ბავშვებმა ნახეს და შეაფასეს ამ თემაზე გადაღებული ფილმი. მოზარდებმა მიიღეს ტრენინგის ჩატარების უნარ-ჩვევები და ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით თავიანთ სკოლებში ჩაატარეს სემინარები შიდსის თემაზე.

ტრენინგს დაესწრო 20 თანატოლგანმანათლებელი პროგრამის სამიზნე ათი სკოლიდან, ასევე მოხალისეთა სახლის ბაზაზე არსებული ფილმების სტუდიის წევრი მოზარდები.

რა უნდა ვიცოდეთ აივ ინფექცია/შიდსის შესახებ

შიდსი (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი) სადღეისოდ მიჩნეულია კაცობრიობისთვის ერთ-ერთ დიდ საფრთხედ. ეს არის ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ). ეს ვირუსი უშუალოდ აზიანებს ადამიანის დამცველ, ე.წ. იმუნურ სისტემას და მწყობრიდან გამოყავს იგი, რის შედეგადაც ინფიცირებულ პირს ადვილად უჩნდება სხვადასხვა ინფექციური ან სიმსივნური დაავადებები.

გაგრძელება გვ. 2

ტრენინგი სუფსის საჯარო სკოლაში

16 დეკემბერს სუფსის საჯარო სკოლაში ტრენინგი ჩატარდა თემაზე ,,აივ/შიდსი“. ტრენინგს ესწრებოდნენ სოფლის ექიმი ავთო ჯიჯიეშვილი, სკოლის დირექტორი ალექსანდრე სტურუა, კულტურის სახლის დირექტორი ლელა სარიშვილი, მშობლები და კლუბის წევრები. ტრენინგს უძღვებოდნენ თანატოლგანმანათლებელი მოსწავლეები ბექა გაბელია და მარიამ ძიმისტარიშვილი.

ერთ-ერთი თანატოლგანმანათლებელი მარიამი გვიამბობს: ,,ჩვენი ტრენინგი დღითიდღე მასშტაბურ სახეს იძენდა. პირველ რიგში ჩვენ გადავწყვიტეთ საზოგადოების ცნობიერების შემოწმება აივ/შიდსთა დაკავშირებით და ამ მიზნით ჩავატარეთ გამოკითხვა ჩვენს თემში. გამოკითხვის შედეგი ცუდი არ აღმოჩნდა, საზოგადოების უმრავლესობა ინფორმირებული იყო, თუმცა უმეტესად მათი ცოდნა ზედაპირული გახლდათ - მათ წარმოდგენა ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა იყო შიდსი, თუმცა დაავადების გავრცელების გზებზე, მკურნალობაზე და უსაფრთხოების ნორმებზე ინფორმაცია არ ჰქონდათ. ამიტომ გადავწყვიტეთ საინფორმაციო ფუცლების გავრცელება თემში და ამ გზით შიდსის გავრცელების ალბათობის შემცირება.

ჯანსაღი ცხოვრების წესის კლუბის ლიდერმა თამარ მურადაშვილმა ორგანიზება გაუწია სტუმრების მოპატიჟებას. საინტერესოდ წარიმარ-

გაგრძელება გვ.3

დასაწყისი გვ.1

ტერმინით ,,შიდსი“ აღინიშნება დაავადების მხოლოდ ბოლო სტადია, როდესაც გამოიხატება დაავადების ძირითადი კლინიკური ნიშნები.

ცნობილია შიდსის ვირუსის გადაცემის სამი გზა:

- **ინფიცირებული სისხლი** - ინფიცირებული შეუმოწმებელი სისხლის გადასხმა, ზიარი არასტერილური სამედიცინო (შპრიცი, ნემსი, სკალპერი და სხვა) და კოსმეტოლოგიური (სამართებელი, ნუნების მაკრატელი, ტატუირების ნემსი და სხვა) ინვენტარის გამოყენება.
- **დაუცველი ქესობრივი კავშირი;**
- **ინფიცირებული დედიდან ნაყოფზე ან ახალშობილზე გადაცემის გზით** (ორსულობის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების დროს).

გაგრძელება გვ.4

გამოცდილება, რომელიც პროექტმა შემძინა

სემინარებზე დასწრების შედეგად ჩამოვყალიბდი, როგორც ტრენერი, გავხდი მეტად კომუნიკაბელური, შევიძინე ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევები, გავხდი უფრო თამამი და დამოუკიდებელი. სემინარებიდან მიღებული გამოცდილებით ჩავატარე იმავე სახის ტრენინგი ჩემს სკოლაში, რომელმაც წარმატებით ჩაიარა. არ გამჭირვებია კომუნიკაცია და ჩემს აზრს მტკიცედ და დამაჯერებლად ვაჟღერებდი. მიღებული ცოდნა და გამოცდილება დამეხმარა საკუთარი თავის რეალიზებაში.

ნიკოლოზ იმნაძე

ლესის საჯარო სკოლის მოსწავლე

დასაწყისი გვ.2

გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!

აივ/შიდსთან ხშირად დაკავშირებულია სტიგმა და დისკრიმინაცია. აივ ინფიცირებულ ადამიანს ზოგჯერ უარს ეუბნებიან დასაქმებაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, დევნიან იმ თემიდან, რომელსაც განეკუთვნება.

ამის საპასუხოდ ჩვენ, ლიხაურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ჩავატარეთ ტრენინგი შიდსის თემაზე, მივიღეთ ინფორმაცია ამ დაავადების მიმდინარეობის, მისი გავრცელების და პრევენციის შესახებ. ასევე ვნახეთ ფილმი ,,სტიგმა", რომელიც აივ ინფიცირებული ადამიანების პრობლემებს ასახავს. ნანახმა ფილმმა მოსწავლეებში პროტესტის გრძნობა გამოიწვია. ტრენინგის პროცესში მათ შეიმუშავეს რამდენიმე სლოგანი: ,,ერთად ყველაფერს შევძლებთ!", ,,შიდსით დაავადებულები დამნაშავეები არ არიან!", ,,გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!". ტრენინგის შემდეგ მცირე გამოკითხვაც ჩავატარეთ თანატოლებში:

მარიამ აბაშიძე, მოსწავლე: ,,შიდსი დღესდღეობით აქტუალური პრობლემაა, ჩვენ ამ დაავადებას უნდა ვებრძოლოთ და ზიზღით არ განვეწყოთ დაავადებული ადამიანების მიმართ, ასევე არ მოვერიდოთ მათთან ურთიერთობას, რადგან მეგობრობით შიდსი არ გადადის".

ნინო დოლიძე, მოსწავლე: ინფიცირებულ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ჩვენი თანადგომის იმედი, მათ თავი უნდა იგრძნონ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად".

დარწმუნებული ვართ, რომ ჩატარებული ტრენინგის შედეგად თითოეული მოსწავლე უფრო მეტად გულისხმიერი და მზრუნველი გახდება.

თაკო ვაშაყმაძე
ალეკო ცეცხლაძე
ლიხაურის საჯარო სკოლის მოსწავლეები

თა გასაუბრება სოფლის ექიმთან. ბავშვებმა დასვეს მათთვის საინტერესო კითხვები, ექიმმა კი კომპეტენტური პასუხები გასცა.

ბავშვებმა მოწვეულ სტუმრებს აჩვენეს მათ მიერ შექმნილი ვიდეოკოლაჟი, რომელიც ასახავდა თემში ჩატარებულ გამოკითხვას და საინფორმაციო ფურცლების გავრცელებას.

,,ვიდეოკოლაჟის შექმნის იდეა ერთობლივად გაჩნდა, როცა თემში გამოკითხვას ვატარებდით, თან გამოკითხვის პროცესს ვიდეოკამერით ავსახავდით, შემდეგ კი ეს მასალა დავამონტაჟეთ. ეს პროცესი არ გამძნელებია, პროგრამამ საშუალება მომცა დავუფლებოდი ფილმის გადაღებისა და დამონტაჟებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, რისთვისაც მადლობას ვუხდი ,,გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრს" - აღნიშნა ბექა გაბელიამ.

მოწვეულ სტუმრებს შორის იმყოფებოდნენ მშობლები, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს პროექტის ორგანიზატორებს და სურვილი გამოთქვეს მსგავსი ღონისძიებები კიდევ ხშირად ჩატარდეს.

საბოლოო ჯამში, ტრენინგმა ნაყოფიერად ჩაიარა, რაც მთავარია ინფორმაცია კლუბის ოთახში არ დარჩენილა და ბუკლეტების საშუალებით მთელ თემს მოედო. დარწმუნებული ვარ, ეს შრომა უკვალოდ არ ჩაივლის და ადრე თუ გვიან შედეგს გამოიღებს.

სალომე ჩხაიძე
სუფსის საჯარო სკოლის მოსწავლე

საინფორმაციო ფურცელი მომზადებულია პროექტის - ,,ავამოძრავოთ ბავშვები“ - ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი საქართველოში აშშ-ს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

Government of the United States

დასაწყისი გვ.3

შიდსის ვირუსი არ გადაეცემა:

- ჰაერ-წვეთოვანი გზით, ნერწყვით, ხველით, ცხვირის დაცემინებით ან კოცნით. შესაბამისად, არ არის საშიში ინფიცირებულთან საუბარი;

- საყოფაცხოვრებო და სოციალური კონტაქტებით. არ არის საშიში ხელის ჩამორთმევა, მოხვევა, ალერსი, დაავადებულის მიერ გამოყენებული ჭურჭლით, თეთრეულით, საერთო საპირფარეშოთი და აბაზანით სარგებლობა. არ არის საშიში აივ ინფიცირებულთან ერთად ყოფნა სასწავლო დაწესებულებებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, როგორიცაა კინოთეატრი, სტადიონი, საცურაო აუზი და სხვ. არ არის საშიში მეტროთი და სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა;

- ვირუსი არ გადადის მწერებისა და ცხოველების ნაკბენით.

სადღეისოდ აივ ინფექცია/შიდსის განკურნების საშუალება არ არსებობს, მაგრამ მიღწეულია უდიდესი პროგრესი მის მკურნალობაში, რაც ადამიანის სიცოცხლის გაგრძელებასა და სიცოცხლის ხარისხის შენარჩნებაში გამოიხატება.

შიდსი მეგობრობით არ გადადის

პროექტის ,,ავამოძრაოთ ბავშვები“ ფარგლებში დეკემბრის თვეში დაბა ნარუჯის ჯანსაღი ცხოვრების წესის კლუბმა გადაიღო ფილმი შიდსთან დაკავშირებულ სტიგმაზე.

ფილმის სცენარსა და გადაღებაზე მოსწავლეებმა ვიმუშავეთ, ჩვენვე მივიღეთ მონაწილეობა ფილმში როგორც მსახიობებმა. სანამ ფილმს გადავიღებდით, ჩავატარეთ გამოკითხვა მოსწავლეებს შორის. მათი უმრავლესობა ფიქრობდა, რომ შიდსი საყოფაცხოვრებო კონტაქტით, ხელის ჩამორთმევით ან საუბრით გადადის. ფილმში სწორედ ამას გავუსვით ხაზი და ავსახეთ, რომ ამ გზით შიდსი არ გადაეცემა. სკოლაში ტრენინგის ჩატარებისა და ფილმის ჩვენების შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ მეგობრობით შიდსი არ გადადის.

დაბა ნარუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეები განვაგრძობთ ტრენინგების ჩატარებას და მოსახლეობის ინფორმირებას შიდსთან დაკავშირებით.

ნინი მარგველაშვილი
დაბა ნარუჯის საჯარო სკოლის მოსწავლე

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი
ოზურგეთი, რუსთაველის ქ. #4
ტელ: 0496 27 41 26
gyrc.info@gmail.com